ხელშეკრულება # 002/2016

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ.თბილისი ,,01" აგვისტო 2016 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV19600000, CPV24900000, CPV22800000, CPV30100000, CPV30200000, CPV31400000, CPV39200000, CPV44400000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია #05 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ალექსანდრე ცხოვრებაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გლობუსი ემ-ბე" წარმოდგენილი მისი დირექტორის - მაყვალა ბეშიძის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულება შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების #1 დანართით გათვალისწინებული საკანცელარიო საქონელი, შემდგომში ,,საქონელი", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი ,,საქონელი", და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ,,საქონელის" ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **2701,40** (ორიათას შვიდას ერთი ლარი და ორმოცი თეთრი) **ლარს.**

2.2. ცალკეული ,,საქონელის" სახე, რაოდენობა და ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი #1-ის მიხედვით.

3. საქონლის მიღება ჩაბარება

3.1. ,,საქონელი " ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარების ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს მიღებული ,,საქონელის " მიხედვით.

3.3.მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული ,,საქონელის " შესაბამისად.

3.4. ,,საქონელის " ან მისი ნაწილის მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5.შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის წუნდების მიზეზის მითითებით.

4. ,,საქონელის "მიწოდების ვადები და ადგილები

4.1. ,,საქონელის "მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2016 წლის 7 აგვისტომდე

4.2. ,,საქონლის " მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მისამართზე თბილისი, კახეთის შესახვევი #2

4.3. მიწოდებისას ,,საქონელს " უნდა ახლდეს საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას,რომ მიწოდებული ,, საქონელი " იქნება ახალი, ხარისხიანი და მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში , არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განახორციელდება ეტაპობრივად ,,საქონელის" მიწოდების შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედეგენილი მიღება-ჩაბარების აქტების, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარდგენიდან 7 დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებებში ცვილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება , რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეთილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში , თუ ხელსეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმებიან ხელშეკრულებების პირობების სესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყვანილი ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისთვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგერბლობას გადაუხადოს პირგადამტეხლოს სახით შემსყიდველს 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით გაწეული ,,საქონელის " ღირებულებების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება , მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი ,,საქონელი " ან მისი ნაწილი.

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა , რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკონტროლების შემთხვევაში:

გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში:

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ ,,საქონელის " მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და შეამოწმოს ,,საქონელის " ხარისხი. კონტროლს ახორციელებს N05 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ალექსანდრე ცხოვრებაძე

12.2.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელის მიზეზების მითითებით.

12.3.გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი "ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ,,საქონლის" მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელისშემკვრელმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენით.

14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეთის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 სექტემბრამდე.

15.2.ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

#5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

მის: თბილისი, კახეთის შესახვევი #2

ს.კ.: 203851509

ტელ: (032) 2 74 32 11

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „გლობუსი ემ-ბე“

მის: თბილისი, დიღმის მას მე-6 კვ მე-18 კორპ

ს.კ.: 202446969

ტელ: (032) 2 51 75 18

ბანკის კოდი: MIBGGE22 პროკრედიტ ბანკი

ანგარიში: GE63PC0203600100017032

კომისიის თავმჯდომარე

ალექსანდრე ცხოვრებაძე

დირექტორი

მაყვალა ბეშიძე

2016 წლის **01** აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **#002/2016** ხელშეკრულების

დანართი #1

მისაწოდებელი საქონლის ნუსხა

CPV კოდი	დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
19640000	პოლიეთილენის პარკი	400	0,15	60,00
24910000	წებო მშრალი	120	0,30	36,00
22816100	ბლოკნოტი ზამბარით	100	0,80	80,00
22816100	ბლოკნოტი	10	2,50	25,00
22816100	ბლოკნოტი	10	3,50	35,00
22816300	წებოვანი ჩასანიშნი ქაღალდი	20	3,00	60,00
22816300	წებოვანი ჩასანიშნი ქაღალდი პატარა	100	0,70	70,00
22817000	პერსონალური დღიური	150	0,70	105,00
22851000	ბაინდერი ა4	120	2,30	276,00
22852000	საქაღალდე	100	1,30	130,00
22852000	საქაღალდე პაპკა	20	3,00	60,00
22852100	ფაილი ა4	40	3,00	120,00
30141200	საოფისე კალკულატორი	70	5,00	350,00
30192100	საშლელი საოფისე	120	0,25	30,00
30192121	ბურთულიანი საწერი კალამი	2000	0,10	200,00
30192125	მარკერი	300	0,45	135,00
30192130	უბრალო ფანქარი	500	0,09	45,00
30192133	საოფისე სათლელი	100	0,30	30,00
30192160	კორექტორი კალამი	115	0,70	80,50
30124400	სტეპლერის ტყვია 24/6	100	0,35	35,00
30197120	ჭიკარტი	100	0,45	45,00
30197320	სტეპლერი 24/6	30	2,50	75,00
30197321	ანტისტეპლერი	1	2,30	2,30
30197330	დირაკოლი	1	30,00	30,00
30197300	საკანცელარიო დანა	45	0,70	31,50
30234300	დისკი დვდ	100	0,55	55,00
31440000	ელემეტი AAA	900	0,30	270,00
39241200	საოფისე მაკრატელი	100	1,20	120,00
39292500	სახაზავი	50	0,30	15,00
44424200	სკოჩი პატარა	100	0,15	15,10
44424200	სკოჩი დიდი	100	0,80	80,00
		სულ ჯამი:		2 701,40

#05 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

შ.პ.ს. „გლობუსი ემ-ბე“